განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ევროპისმცოდნეობა/European Studies**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი/Bachalor of European Studies**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ლაშა ბაჟუნაიშვილი, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: lasha.bazhunaishvili@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ ფართო ცოდნის მიცემა ევროპის რეგიონის ან/და ევროკავშირის ქვეყნების ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის, დემოგრაფიის, ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის, სამართლის და კულტურის შესახებ; ევროპის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში, ევროპულ საზოგადოებასთან, ისტორიასთან, ფასეულობებთან, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებული ასპექტების, ევროკავშირის, მისი ინსტიტუტების, პოლიტიკების და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების შესახებ; ✓ ევროპისმცოდნეობაში შეძენილი დარგობრივი და ტრანსფერული ცოდნის (მათ შორის შესაბამისი დონის კვლევების) ჰოლისტიკური გააზრება; ✓ შესაბამისი ცოდნის გენერირების პრეზენტაციების უნარ-ჩვევების; ჯგუფთან ალიანსის მიღწევისა და კომუნიკაციის უნარის გამომუშავება სხვადასხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ✓ ევროპისმცოდნეობის მომიჯნავე დარგებში, პრიორიტეტების გათვალისწინებით, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენისა და დამოუკიდებლად განხორციელების კვალდაკვალ, ეთიკის პრინციპების დაცვით პროფესიული საქმიანობის განხორციელება.
სწავლის შედეგები	✓ მსჯელობს ევროპის რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე. აღწერს ცალკეულ მოვლენებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში; ▪ იცნობს და კომპლექსურად მიმოიხილავს ევროპას გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთნიკურ-რელიგიური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით;

	• წარმოაჩენს თანამედროვე ევროპის წინაშე მდგარ გამოწვევებს და განაზოგადებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კონტექსტში, აკავშირებს საქართველოს განვითარების პერსპექტივებთან; ✓ შეუძლია ევროკავშირის ინტეგრაციის ევოლუციის, ინსტიტუციური მოწყობის, ცალკეული პოლიტიკის, ევროპული სამართლის და წვერ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების სფეროში პრობლემების რკვევა-იდენტიფივცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა; ✓ შეუძლია დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს ევროპისმცოდნეობის დარგთან დაკავშირებული პროექტი, როგორც ინდივიდუალურ, ისეჯ ჯგუფურ, ორგანიზაციულ თუ სხვა საზოგადოებრივ დონეზე; • ამზადებს ანგარიშებს და ახდენს მათ დემონსტრირებას როგორ წერილობით, ისე ზეპირად ქართულ და უცხოურ ენებზე; • აქტიურად მონაწილეობს დისკუსიებსა და დებატებში. აცნობიერებს მის მნიშვნელობას მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის; • წარადგენს საკუთარ დასკვნებს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან როგორც წერითი სახით, ისე ზეპირად; ✓ აანალიზებს საქართველოსა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების განვითარების კანონზომიერებებსა და პოლიტიკური იდეოლოგიების მახასიათებლებს; ✓ აცნობიერებს და ითავისებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს და ახდენს მათ დემონსტრირებას: • შეძლებს, როგორც დარგში ასევე, მომიჯნავე სფეროში პრიორიტეტების გათვალისწინებით საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას და დამოუკიდებლად განხორციელებას; • საკუთარ საქმიანობას აგებს ევროპის ისტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, ნაციონალური და კულტურული განვითარების კონტექსტში საკუთარი და სხვა ქვეყნების მმართველობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზების შემეცნებასა და პატივისცემაზე; ✓ შეძლებს პროფესიული პასუხისმგებლობისა და სათანადო ეთიკური ნორმების დაცვას მუშაობის პროცესში.